სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა

---

1. *პროგრამა ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების (ძირითადად ხანძარი, გამონაკლისის შემთხვევაში სხვა მიზეზები) შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულად დახმარებას განიხილება მხოლოდ საცხოვრებელი ფართის დაზიანება ან განადგურება, რომელიც პირობითად იყოფა სამ კატეგორიად:*
   - ***ორსართულიანი კაპიტალური სახლის სრული დაზიანება - დაფინანსება 10 000 დან -15 000 ლარამდე;***
   - ***ერთსართულიანი კაპიტალური ან ხის სახლის არასრული დაზიანება- დაფინანსება 5000-დან 10 000- ლარამდე;***
   - ***ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კატეგორიების შედარებით მსუბუქი დაზიანება – 3000 ლარამდე.***

2. *წარმოსადგენი დოკუმენტაცია:*

   - *სახანძრო-სამაშველო სამსახურის დასკვნა ხანძრით მიყენებული ზარალის შესახებ;*
   - *შესაბამისი ფაქტის ამსახველი ფოტო-მასალა ადმინისტრაციულ ერთეულში წარმომადგენლის მიერ დამოწმებული და მისივე შუამდგომლობა;*
   - *საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურის მიერ შედგენილი დეფექტური აქტი.*

3. *დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით დაზარალებულის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. დაფინანსებას ექვემდებარება მიმდინარე საბიუჯეტო წელს მომხდარი შემთხვევა.*

4. *დაზარალებულთა განცხადების განიხილვას და შესაბამის გადაწყვეტილებას ღებულობს „სოციალური კომისია“.*